საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაცია დასრულდა

2023 წლის 27 სექტემბრიდან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასერტიფიკაციო გამოცდები იწყება.

გამოცდის შესახებ და მისთვის მოსამზადებლად მოქალაქეთა ინფორმირების კამპანიას ცესკო და სწავლების ცენტრი მაისიდან ახორციელდებს. სერტიფიცირების პროცესი პროფილურად შემუშავებული ტესტებით წარიმართება (გასაჯაროებული საკითხები გამოცდაზე უცვლელი ფორმით გამოიყენება).
საგამოცდო ცენტრები ქვეყნის 16 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს და მოქალაქეებს გამოცდის ჩასაბარებლად შერჩეულ ლოკაციებზე მომსახურებას სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული გამოცდის სამდივნოების წევრები გაუწევენ.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სურვილი, რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, 8124-მა მოქალაქემ დააფიქსირა, რაც, გამოცდაზე ჯამურად მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით 81%-ს შეადგენს (საგამოცდო ცენტრების მიხედვით რეგისტრირებულ გამოსაცდელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე).
გამოცდის ჩაბარების მსურველთა საყურადღებოდ:
გამოსაცდელი სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ერთხელ, სარეგისტრაციო ბარათში მითითებული საგამოცდო ცენტრის მიხედვით, საგამოცდო თარიღისა და დროის დაცვით.

საგამოცდო დარბაზში დაშვების პროცედურის გავლის მიზნებისთვის, მოქალაქე საგამოცდო ცენტრში უნდა გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე, თან უნდა იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

გამოცდის მიმდინარეობისას გამოსაცდელს ეკრძალება: საგამოცდო დარბაზის დატოვება; ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების, ჩანაწერების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება; გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა; ტექნიკური საშუალებების, მათ შორის, მობილური ტელეფონის შეტანა, გამოყენება.

გამოსაცდელი, რომელიც არ გამოცხადდება გამოცდაზე, დაგვიანებით გამოცხადდება, ან გამოცდის მიმდინარეობისას დაარღვევს დადგენილ წესებს მოიხსნება გამოცდიდან.

სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ელექტრონული ტესტირების მეთოდით. გამოცდის ხანგრძლივობა 1 საათია. გამოსაცდელისათვის ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩევა 24 საგამოცდო ტესტი, ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა უნდა დააგროვოს 15 ქულა. სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს.

2023 წლის სექტემბერში გასამართი სასერტიფიკაციო გამოცდა

N	საგამოცდო ცენტრების მისამართები	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობა	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა
1	ქ. მცხეთა, აღმაშენელის № 51 (N27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	700	636
2	ქ. ბორჯომი, წმინდა ნინოს ქ. №11 (N36 ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	420	326
3	ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6 (N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	400	400
4	ქ. საჩხერე, მაჭავარიანის ქ. № 41 (N50 საჩხერის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	720	604
5	ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. № 5 (N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	720	666
6	ქ. ბაღდათი, სააკაძის ქ. № 5 (N52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	273
7	ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №8 (N57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	540	443
8	ქ. წყალტუბო, ალ. ყაზბეგის ქ. №2ა (N58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	720	625
9	ქ. ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №31 (N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	840	632
10	ქ. ოზურგეთი, დოლიძის ქ. №1 (N60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	700	623
11	ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. № 221 (N64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	675	543
12	ქ. ზუგდიდი, თბილისის ქ. №1	1050	578
13	ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. №27 (N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	750	563
14	ქ. ქობულეთი, მემედ აბაშიძის ქ. №10 (N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	450	318
15	ქ. ფოთი, 26 მაისის №7 (N70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	180	108
16	დაბა შუახევი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №2 (N82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	855	786